საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინწობა

ინწობა, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. ალაზნის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე. სიგრძე 22 კმ, აუზის ფართ. 83 კმ² საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნა – ზაფხულსა და შემოდგომაზე. ქვემო დინებაში ი-ს სარწყავად იყენებენ.

ი. აფხაზავა